№ 126 21 მარიამობისთვე, ქვირა 1866—1877 21 მარიამობისთვე, ქვირა № 12

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბ. დის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲐᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისᲗ—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ.; ასო-მთარგმნელით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲡ გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება კიდე:

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: სეიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲨᲘ—სტანციის ბუფეტში,

ᲮᲐᲨᲣᲠᲨᲘ (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში და

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ—თუმანოვის მაღაზიაში.

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲒ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲠᲝᲐᲡᲬᲝᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

(ოფიციალური)

ᲥᲘᲣᲠᲣᲥ-ᲓᲐᲠᲐ, 18 აგვისტოს. ᲘᲒᲓᲘᲠᲨᲘ მყოფს ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ატრიადის პოლკოვნიკის სამოილოვის კალონას 12 აგვისტოს დაეცა დიდ-ძალი ჯარი მტრისა; მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა. მტერმა 80 მკვდარი დასტოვა ბრძოლის ველზედ.

15-ს ოსმალოები სამის კალონით ხელ-ახლად დაეცნენ ჩვენს ჯარს ხალფალუსა და სოფ. ᲩᲝᲠᲣᲮᲩᲘᲡᲐᲙᲔᲜ; თუმცა მტერს ჩვენზე ბევრად უფრო მომეტებული ჯარი ჰყავდა, მაგრამ, ხუთი საათის გაცხარებული სროლისა და ხელ-ჩართული ბრძოლის შემდეგ, მტერი იძულებული შეიქნა; უკან დაბრუნებულიყო; იმან დასტოვა ბრძოლის ველზე 400 მოკლული.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, 18 აგვისტოს. ᲩᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ატრიადს მუხა-ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲖᲔᲓ 12 აგვისტოს დაეცა მტერი და ხანგრძლივი სროლის შემდეგ, მტერი დიდის ზიანით უკან გაქცეული იქმნა. ᲩᲕᲔᲜᲘ ამ შეტაკებაში მოკლული იყო 21 კაცი; დაჭრილი იყვნენ 1 ექიმი ᲚᲘᲣᲑᲐᲜᲡᲙᲘ და 24 კაცი.

ᲝᲩᲣᲛᲘ, 18 აგვისტოს. ᲩᲕᲔᲜᲘ ჯარი თანდა-თან იწევს სოხუმისაკენ. ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲚᲮᲐᲖᲝᲕᲘᲡ კალონა 16 ს ᲙᲔᲚᲐᲡᲣᲠᲨᲘ გადაეიდა, იმის მოწინავე ჯარი ᲐᲑᲯᲐᲒᲔᲗᲨᲘᲐ.

მდ. ᲛᲐᲠᲣᲮᲘᲓᲐᲛ მომავალი ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲑᲐᲑᲘᲩᲘᲡ ჯარი მოვიდა 12-ს წებელდას და აქედამ ᲑᲣᲛᲡ გაემგზავრა. მტერს მო-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲛᲣᲮᲐ-ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲨᲘ *)

(ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ)

(ᲑᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

ᲐᲛ ქედიდამ ჩვენ დაეშვით ძირს, გადავიარეთ პატარა ხევი და რამდენიმე მინუტის შემდეგ ავედით მუხი-ᲔᲡᲢᲐᲢᲘᲡ სიმაღლეზედ.

სამხედრო მეცნიერებაში განვითარებული არა ვარ, საუბედუროთ, თორემ იქნება უფრო დაწვრილებით და უფრო მომეტებული ტეხნიკურ სიტყვების ხმარებით ამეწერა ეს ჩვენი სამხედრო ბანაკი, იმის პოზიციები, ჯარების განაწილება და დაყენება სხვა-და-სხვა ალაგებზე, ლოკმენტები, ტრანშეები, რეტრანშამენტები და სხვ. და სხვ.

ᲐᲛᲘᲡ გამო მე, როგორც უბრალო მამაკაცდავ ტურისტს და გამკვირვებელს შეეფერება, ისეთის ენითა და კილოთი აგიწერთ მუხა-ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲡᲐ, და ეს აღწერა იქნება უფრო ადვილად გასაგები შეიქნეს ჩვენი მკითხველისათვის, ვინემ მეცნიერებითი ენითა და ტეხნიკური სატყვებით შეზავებული აღწერა.

ᲛᲣᲮᲐ-ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲡ, ᲮᲣᲪ-ᲛᲑᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ და ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘᲡ სიმაღლეები არიან შტონი იმ მთისა, რომელსაც კარგათ ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲓᲐᲛ ᲤᲝᲗᲝᲛᲓᲘᲜ მოგზაურობის დროს და რომელსაც ჩვენ ხან ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ მთებსა და ხან ᲐᲯᲐᲠᲘᲡ მთებს ვეძახით. ᲐᲛ მთის ნაწყვეტები რამდენიმე შტოით ჩადის შავ ზღვამდინ; ამათ სიმაღლეებზე და ფერდოებზე ზღვის ნაპირას სახლობენ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲚᲔᲑᲘ და თვითონ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ კი რუსების წინააღმდეგ გაკეთებული აქ აქვთ ციხეები და სიმაგრეები.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ომიანობის დაწყების დროს არც **მუხა-ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲨᲘ**, არც **ᲮᲣᲪ-ᲨᲑᲐᲜᲨᲘ** და არც **ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲖᲔ** ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ სრულებით არ ყოფილან, რუსის ჯარს თითქმის თოფის გაუსროლელად შეეძლო ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲗᲐᲜ მისვლოა; ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘ კი ᲪᲠᲢᲐᲝᲓᲔᲜᲐᲗ ყოფილა გამაგრებული ლოკმენტებითა და ზარბაზნით, მაგრამ მაშინ არც ამ ციხის აღება დაუჯდებოდა ერთობ ძვირად რუსებსაო.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მაშინ ამ ადგილებზედ გადასვლა არ შეიძლებოდა და ჩვენი საპიორები და სალდათები იძულებული იყვნენ დიდის გაჭირვებით გაეყვანათ ზარბაზნების გადასატანი და ცხენოსანი და თითქმის ქვეითა ჯარის გადასაყვანი გზა; ამასობაში ხანი გავიდა, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲛᲐ უკან დაიწიეს და მოასწრეს ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘᲡ გამაგრება და ისე გამაგრება, რომ ეს ციხე ახლა ჩვენებურებისათვის თითქმის საფრთხობელად და საარაკო ციხედ გადაქცეულა.

მე თვითონ ვნახე ჩემის თვალით, რომ ამას წინათ ერთს ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ მიყრუებულს სოფელში გლეხის ორი პატარა ბიჭები წაეჩხუბნენ რაღაცაზედ ერთმანეთს. ᲔᲠᲗᲘ-ᲐᲛᲗᲐᲒᲜᲘ მიუბრუნდა მეორეს და უთხრა:

— ᲗᲣ კაი მაჩხუბარი ბიჭი ხარ, ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲨᲘ წადი და იქ იჩხუბე! მალე აგიტირებენ დედას!..

ᲐᲜ თუ ვისმეს დაცინება უნდათ, ასე ამბობენ:

— ᲫᲚᲘᲐᲜ მარჯვე ბიჭია: ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲡ აიღებს აი!

ᲕᲘᲡᲐᲪ გნებავთ **მუხა-ᲔᲡᲢᲐᲢᲔ** წარმოი-

(*) „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ № 124.

უვიდა ახალი ჯარი ბათუმიდამ და გამაგრდა სოხუმის გარშემო მთებზე.

ვენა, 18 (30) აგვისტოს. რუსული გაზეთს „Голосъ“-ში იწერებიან ვენიდამ:

„ერთი სიმაგრე შიპკოს გასავლისა, რომელიც ოსმალოებმა აიღეს და რომლის ქვეშაც გაყვანილი იყო ლაღმი, აიფეთქა და 5,000 ოსმალოს ჯარით სრულებით დაიქცა.

ვენის გაზეთებში სწერენ აგრეთვე, რომ შიპკოსთან მებრძოლი სულეიმან-ფაშის არმია ისეთნაირად დასუსტებული და დაქანცული არის ამ უკანასკნელი ბრძოლითაო, რომ, სანამ დუნაის არმიიდამ ახალ ჯარს არ შეიმატებს, ხელახლად ველარ მიადგება შიპკოს ასაღებათაო.

ბელგრადიდამ მოვიდა ამბავი, რომ სერბიას 40,000 კაცი ჯარი გამოჰყავს ბრძოლის ველზედაო.

ბოლნი სტუდენ, 18 აგვისტოს. მთავარ-სარდლის ტელეგრამმა: ყველგან სრული მშვიდობიანობაა. რუმინიის მთავარი ქარლი რუსისა და რუმინიის დასავლეთის ატრიადის მთავარ-სარდლად არის დანიშნული; იმის შტაბის უფროსად დანიშნულია ღენერალი ზოტოვი.

ალექსანდრაპოლი, 19 აგვისტოს. 14 აგვისტოს აქ არმიაში მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ის თვითონ იღებს თავის თავზე მომქმედი არმიის ხელმძღვანელობას და ღენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი კი ვალდებულია მხოლოთ მისი უმაღლესობის ბრძანება აასრულოს.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ამბავი ოქუმიდამ:

„ჩვენი ინგურის (სოხუმის) ატრიადი სამის მხრით აწვება სოხუმში დარჩენილ ოსმალოს გარნიზონს: ჩრდილოეთით მოადგა ღენ. ბაბიჩი, ნოვოროსიის მხრით პალკოვნიკი შოლკოვნიკოვი და ოჩამჩირედამ ღენერალი ალხაზოვი.

„მომეტებული ნაწილი ოსმალოს ჯარებისა და გრეთვე ბევრი აფხაზები ოსმალოს ხომალდებით გაიყვანეს სოხუმიდამ და, როგორც ისმის, ტრაპიზონისაკენ წაიყვანეს.

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ოსმალოებმა პლანი გამოსცვალესო და დღეს თუ ხვალ სოხუმს სრულიად დაატოვებენო. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს იმედი, რომ სისხლ-დაუღვრელად დასტოვონ იმათ ეს ქალაქი.“

რუსის პარახოდის „ქონსტანტინესაგან“ ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდის აფეთქებაზედ ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, რომ, მართალია „ქონსტანტინეს“ ლაღმის მატარებელი ოთხი ნაღი მიეპარა ოსმალოს ჯავშნიან ხომალდს და ლაღმები აფეთქა; მაგრამ ავნო ამან რაიმე ოსმალოს ხომალდსა, თუ არა,—ამაზე ჩვენ ჯერ არავითარი ნამდვილი ცნობა არა გვაქვს მიღებულია.

—

აფხაზების აჯანყებულების თაობაზედ ნემეცურს „Politiche Correspondenz“-ში იწერებიან 5 აგვისტოს:

„აფხაზების აჯანყება თან-დი-თან ისპობა. ამბობენ, რომ ამ გარემოების მიზეზი ერთის მხრით ის არისო, რომ ოსმალოებმა მიატოვეს სოხუმი, რადგან აქედამ არაფერ სარგებლობას არ გამოელიან და მეორეს მხრით ის, რომ ღენერალ ალხაზოვს დიდ-ძალი ახალი ჯარი მოუვიდა სოხუმის ასაღებად. ფაშლიფაშას, სოხუმის ოსმალოს ჯარის უფროსს, ამჟამად სხვა დანიშნულება მისცეს და დუნაის არმიაში გაგზავნეს.

„ამას წინათ ბათუმის ატრიადის უფროსი ხუც-უბნიდამ წასულა ხომალდით სოხუმს და იქაურ ჯარის მოთავეებთან ერთად მოლაპარაკებით გადაუწყვეტიათ, რომ სოხუმი მიატოვონ.“

—

ინგლისურს გაზეთს „Standard“-ში

დგინოთ, წარმოიდგინეთ უბრალო ცხენის ნალი, ანუ კიდევ უკეთ: ცერი და საჩვენებელი თითი მოღუნეთ ისე, რომ და ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მაგრამ ერთს მეორეზე კი ნუ მიადებთ.

ამ ორი თითის დაყოლება იქითკენ ლოკმენტები (მოთხრილი ჩასასაფარებელი, სასროლი) ადგილებია გამართული.

აქეთკენ, თქვენ პირის-სახისაკენ გაკეთებულია ქვეეთა და ცხენოსანი ჯარის სადგომი ფაცხები, ბამბის კარვები და თოფის-წამლის სარდაფები. საცა საჩვენებელი თითი მეორე სახსარში მოღუნულია, იქ ჩვენი ბატარეები (ზარბაზნები) დგანან სწორეთ ოსმალოს ბანაკის ხუც-უბნის პირ-და-პირ, რომელიც ისე დასჩერებია მუხა - ესტატეს, როგორც ცხვირი ტუჩებს.

ბატარეიების გადაღმა, ძირს დაყენებულია ჩვენი პირველი ცეპი ანუ ყარაული ჯარი, რომელიც დურბინდით ათვალიერებს ხუც-უბნის ბანაკს და იმწამსვე მოახსენებს შტაბის უფროსს, თუ ოსმალოს ჯარში რაიმე არა-ჩვეულებრივი მოძრაობა შენიშნა.

თვითონ შტაბი და ქობულეთის ატრიადის უფროსი ღენერალი დენიბეგოვი დგანან იმ ადგილას, საცა თქვენი ცერის ბრჩხილია.

ამ ორ თით შუა, ანუ ბატარეებისა და შტაბის სადგომ ალაგს შუა ჩაწეული, ხევი ალაგია და აქ დგას ორივე მხრით მომეტებული ნაწილი ჩვენი ჯარებისა. მხოლოთ ცხენოსანი ჯარი (ჩვენი დრუჟინები) კი კიდევ უფრო იქეთ დგანან მუხა-ესტატეს გადმოლმა მინდერებზე.

მუხა-ესტატეზე რომ დადგეთ და პირი ხუც-უბნისაკენ ჰგქონდეთ, მარცხნივ იქნება პატარა მთა, რომელზედ დგას ჩვენი პიკეთი; მარჯვნივ ზღვა, რომელიც 8 ვერსზე იქნება აქედამ და რომელზედაც, მუხა-ესტატის პირ-და-პირ, მუდამ გაჩერებულია ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი; უკან დაგრჩებათ ჯიხანჯირის ამწვეთებული მთა, რომელზედაც აგრეთვე ჩვენი პიკეთი (პლასტუნები) დგას.

ჩვენ პირ-და-პირ ხუც-უბნიდამ მარცხნივ, არის ტალახას მთა, რომელზედაც, სხვათა შორის ამ პირველ აგვისტოს ჩვენსა და ოსმალოს ჯარებს შუა მცირეოდენი შეტაკება ყოფილა.

აი ეს გახლავსთ ერთის-თვალის-გადავლება ჩვენი მუხა-ესტატეს ბანაკისა.

ერთი-თვალის-გადავლება, სამხედრო საქმეში სრულიად გამოუცდელ თვალისაც, კმარა აგრეთვე იმაში დასარწმუნებლად, რომ ოსმალოს ჯარების პოზიცია (ხუც-უბანი) ბევრად უკეთესი, უფრო მარჯვე პოზიცია არის, ვინემ ჩვენი:

ხუც-უბანი, სამება და ციხის-ძირი ერთი მეორეზე უმაღლესი ადგილებია და ყველა ესენი უფრო მაღლებია, ვინემ მუხა-ესტატე, ასე რომ ხუც-უბანი როგორც ხელის-გულს ისე დაგვჩერებია ჩვენ და მაშასადამე იქიდამ ნასროლი ყუმბარები უფრო გვაზარალებენ ჩვენ, ვინემ ჩვენგან იმათ.

ამას გარდა შესანიშნავია, რომ ყველა ეს მთები, რომელზედაც ოსმალოები არიან გამაგრებულნი, იქით მხრით ბათუბისაკენ ძალიან ცოტათ არიან დაშვებულნი, მაშინ როდესაც ჩვენკენ ოზურგეთისაკენ კი ისეთ ნაირად არიან დაფერდოებულნი, რომ არათუ მძიმე არტილერიის ატანა, ცხენოსან და თითქმის ქვეითა ჯარსაც უჭირს ზედ ასელა. აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ ჩვენ აქედამ, ამ დაშვებული

დაბეჭდილია 8 აგვისტოს შემდეგი ტელეგრამმა Oფილისიდამ მიღებული:

„Iზმაილ-ფაშის კორპუსი სულ 23 ბატალიონისაგან შესდგება (15 ათას კაცამდინ). Eს ჯარი ბაიაზეთსა და Dიადინს შუა არის დაბანაკებული და დღე-დღეზე Iკდირისაკენ წაწევას აპირებს, სადაც ლენერალი Tერ-Lუკასოვი დგას თავის ჯარებითა.

„Aქ ამბობენ, რომ Mრევნის ლუბერნიის მუსულმანებს მეგობრული კავშირი და მისვლა-მოვლა აქვთ ამ Oსმალოს ჯართანაო; ამის წინათ დაიჭირეს რამდენიმე კაცი, რომელთაც Oსმალოს აფიცრები მიჰყავდათ ჩვენი მოსამსღვრე ადგილების და სახედავათ; ამის გამო აქ ძალიან შიშობაა.“

—

Iმ შეტაკების თაობაზე, რომელიც Lორის-მელიქოვისა და Mუხთარ-ფაშის არმიებს შუა მომხდარა, 6 აგვისტოს, ერთს ფრანცუზულს გაზეთში შემდეგი Aრზრუმიდამ მიღებული დეპეშაა დაბეჭდილი:

„Dილით ადრე 6 აგვისტოს, Kადიკლარიდამ, Wერჯითიდამ და Bალდირვანიდამ გამოვიდა 48 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 10 პოლკი ცხენოსანი 110 ზარბაზნით და გამოსწია Oსმალოს ბანაკებისაკენ. Aმათ მიეგება ჰუსეინ-ფაშის დივიზია Wიზინკევიდამ და Yარსიდამ გამოსული არტილერია. Wვიდი საათის განმავლობაში ბრძოლა არ შეწყნარებულა. Bოლოს Oსმალოს ჯარმა უკუ-აქცია რუსები, რომელთაც ათას კაცამდინ დასტოვეს ბრძოლის ველზედა. Oსმალების მხრით 230 კაცამდინ არის დახოცილი.“

—

Pეტერბურღიდამ სწერენ ერთ ფრანცუზულ გაზეთში შემდეგ ტელეგრამმას 4 აგვისტოს

„Iზმაილ-ფაშა დადგა თავის ჯარით Tერ-Lუკასოვის წინააღმდეგ. Rაოზილ-დაგის სიმაღლების ჩრდილოეთი მხარე უჭირავს მარტო Iზმაილ-ფაშას. Uმრავლესი ჯარი, რომელიც შესდგება 40 ბატალიონისაგან, მრავალი ცხენოსანი ჯარისაგან და 55 ზარბაზნისაგან შეერთებულია Mასუნის გასავალთან, რომელიც იმყოფება Bაიაზეთის ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ Iკდირის ახლო.“

Eვროპი სბრძოლის ველიდამ

„Rეიტერის Sააგენტოში“ შემდეგი ტელეგრამმა არის დაბეჭდილი სტამბოლიდამ 5 აგვისტოს:

„Sულთანმა გამოსცა ბრძანება, რომ ის პირნი, რომელნიც დღემდინ არ ირიცხებოდნენ სამხედრო სამსახურში იმიტომ რომ მათ არ შეხვდათ წილი—, დღეის შემდეგ უნდა ჩაირიცხონ. Aმათ გარდა ისინიც, ვისაც ჯერ კიდევ აკლიათ ხნოვანობა წილის საყრელათ; ერთი სიტყვით, სუყველას, ვინც თოფს დაიჭერს და ორმოც წელს არ გარდასცილებია, ბრძანება აქვთ მოემზადონ საომრათ.“

Pეტერბურღის ერთს გაზეთში (Голосъ) სწერენ შემდეგ ამბავს:

„Rუსეთმა შეუკვეთა ამ ბოლო დროს დიდი რიცხვი სხვა-და-სხვა გვარი იარაღი უფ. Kრუპპს; რომ ეს დაბარება მალე ყოფილიყო ასრულებული ერთი სახელმწიფო (ესე იგი Bერმანია) დათანხმდა შეეყენებინა თავისი მუშაობა და Kრუპპმა, რასაკვირველია, რაც მომზადებული ზარბაზნები ჰქონდა, სულ რუსეთს გაუგზავნა.“

—

„Hავასის Aგენტობაში“ იწერებიან შემდეგ ამბავს 5 ივლისს Sტამბოლიდამ:

„Aლი-ფაშა, Aდრინოპოლის მმართველი, მოვიდა Sტამბოლს და წარუდგინა Sულთანს ქაღალდი, რომელზედაც მოწერილი აქვთ ხელი 30,000 Bოლგარიელს. Aმათ რიცხვში უწერია ხელი არხიეპისკოპოზს და Aდრინოპოლის ღვდელს. Aმ ქაღალდში Bოლგარიელები სთხოვენ Sულთანს, რომ მიუტევონ იმათი შეცდომა, რომ რუსებისაგან გამოგზავნილ კაცებმა შეაცდინეს, გადაიბირეს Rუსეთისაკენ და დღეის შემდეგ მომავლისათვის პირობას აძლევენ დარჩნენ მორჩილ ქვეშევრდომებათ Sულთანისა.“

—

Wენის გაზეთში „Neue Freie Presse“-ში შემდეგი ტელეგრამმა არის მოყვანილი:

ფერდოებით მისვლა და ჯარების მიყვანა გეიძნელდება და Oსმალოებს კი ჩვენკენ და ჩვენზედ მოსვლა კი მაგდენათ არა.

Aმას მიუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომგარ შემო მცხოვრებლები—ქობულეთლები საშინლად გადაგვემტერენ ჩვენ და არათუ წინ უკან—Oზურგეთის გზისკენაც კი უშიშრად ვერ გაუვლია კაცსა.

Yველა ამ ჩვენთვის არა-სასარგებლო გარემოებამ აღძრა შტაბში ლაპარაკი იმაზე, რომ Mუხა-Eსტატეში ჩვენ დიდხანს გაჩერება არ შეგვიძლია და თუ ახალი ჯარები არ მოგვემატა და ისევ წინ არ წავიწიეთ, აუცილებლად საჭიროა, რომ უკან დავიწიოთ, Oზურგეთისაკენაო.

Mართლაც, ამაში ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ, თუ Dერვიშ-ფაშამ ხუცუბნიდამ ზარბაზნები დაგვიშიანა, Mუხა-Eსტატეში გამაგრება არ შეგვიძლია და არ შეგვიძლია იმ ზემოხსენებული მიზეზების გამო, რომ ჩვენ აქ არც საკმაო ძალა გვყავს, არც რიგიანათ ვართ გამაგრებული და არც მოხერხებული სამხედრო პოზიცია გვაქვს.

Mაგრამ Dერვიშ-ფაშა ჯერ თავის ჯარით გაჩერებულია და ამის წყალობით ჩვენც გაჩერებული ვართ...

11 და 12 ივლისის შემდეგ, როცა გვარიანი სროლა და სისხლის-ღვრა მოხდა Kვირიკესთან, აქეთკენ თითქმის სრულიად არ გვქონია მტერთან რაიმე შესამჩნევი შეტაკება. Mხოლოთ დროგამოშვებით კინწლაობა ხდება ჩვენსა და იმათ ცეპებსა და ახოტნიკებს შუა, ესეთი კინწლაობა,რომელსაც სამხედროკაცები „პარტიზანულ ომს“ ეძახიან.

Aთი-ოცი, ხან მეტი ხან ნაკლები, Kობულეთლები წამოვლენ იქიდამ, გადმოეპარებიან ჩვენ ყარაულ ჯარს, მიუახლოვდებიან რომელსამე ჯარის ნაწილს და უეცრად გააჩენენ სროლას; საქმე თავდება იმით, რომ თითუელის მხრით ოთხი-ხუთი კაცი იხოცება და იჭრება.

Aმბობენ, ქობულეთლები ძალიან დიდის ხალისით ასრულებენ ამ გვარ საქმესაო; მიდიან Dერვიშ-ფაშასთან და სთხოვენ—გაგვიშვით გურულების დასახოცათაო. Mაგრამ, როგორც ნამდვილად მითხრეს, Dერვიშ-ფაშამ ამ უკანასკნელ დროს ამ გვარი „ნადირობა“ აღუკრძალა ყველას და ახლა მხოლოთ მალულად მოდიან ჩვენკენ ქობულეთლებიო.

Aრც ჩვენის მხრიდამ აკლებენ ხელს: ჩვენც გვყავს „ახოტნიკების კამანდა“, რომლის წინამძღოლი შტაბის კაპიტანი Kლეჩკოვსკია და რომელშიაც მომეტებული ნაწილი ჩვენი მილიციონერები არიან ჩაწერილნი და პლასტუნები (ქვეითა ყაზახი-რუსები). Eსენი ეცემიან Oსმალოს პიკეთებს, იტაცებენ, თუ სადმე უყარაულო ჯოგი დაინახეს, ხოცავენ თუ სადმე გზა-დაბნეული ერთი ან ორი ქობულეთელი დაინახეს.

Oუ სადამდინ მიაღწევს ამათი გაბედულობა, ამის დასამტკიცებლად შემდეგი მაგალითი მოგვიყვანეს: ხუთი ახოტნიკი გადაპარულიყო ამას წინათ ღამით Oსმალოს ყარაულებს იქით, მისულიყვნენ Kობულეთის, შეპარულიყვნენ Aლი-ფაშა (Oავღგირიძის) ერთს ოთახში, დაესხათ პოლზე და სტოლზე ნაეთი ის იყო რომ სანჩკა უნდა წაეკიდა ამ დროს შეეტყოთ და ძლივს მოესწროთ გამოქცევა.

ს. ვ.

(Bაგრძელება შემდეგ №-ში)

„ს ი ს ტ ო ვ ა, 5 აგვისტოს. ერთი დივიზია რუსის ჯარისა გაიგზავნა საჩქაროთ შიპკოსაკენ იმ ჯარის მისაშველებლად, რომელიც ელოდა სულეიმან-ფაშის დაცემას. ოთხს აგვისტოს, სულეიმან-ფაშამ დაიჭირა მაამაგრა ელენა და ბებროვა.“

საქართველო

დღიური

** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხველელ კომიტეტს, 20-ს მომავალი სექტემბრისათვის, დაუნიშნავს ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც იმათ, სხვათა შორის, შემდეგი კითხვები უნდა განიხილონ და მათ შესახებ რამეგვარი გარდაწყვეტილება უნდა დასდონ:

1) აღნიშნა თფილისის გუბერნიის მიწის მემამულეთა იმ საზოგადო და საყოველთაო საჭიროებისა, რომლისთვისაც უნდა მოიხმაროონ ბანკის შემოსავლიდამ ამ საქმისათვის გარდადებული (45,|0) ფული.

2) ბანკის წესდების ზოგიერთი პარაგრაფების შეცვლა და დამატება.

3) ბირაოთ მისაღები ადგილ-მამულების დასაფასებლად შემოღებული ინსტრუქციის შეცვლა.

4) მოხსენები ბანკის დამფასებელს კომისიაზედ და

5) ამორჩევა ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, თ. დ. ი. ა ვ ა ლ ო ვ ი ს მაგიერ, რომელიც ამ წელს წილის-ყრით (§ 67) გამოდის ბანკის გამგეობიდამ.

თავის დროზედ იმედი გვაქვს სათითაოთ ყველა ამ კითხვებზე უფრო დაწვრილებით მოველაპარაკოთ ხსენებულ დამფუძნელებთან.

** ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ უფ. ჰ. წულუკიძეს ამ რამდენიმე დღის წინაი დაუწყია იქ ტელეგრამების გამოცემა. ეს ტელეგრამები გამომცემელს „კავკაზიის“ რედაქციისაგან მოსდის თურმე, მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ, რადგან ჩვენს ქალაქში სტამბა არ იპოვება, ამის გამო გამომცემელი იძულებულია ხელ-ნაწერი დეპეშები დაურიგოს როგორც თავის მუდმივ ხელის-მომწერლებს, აგრეთვე ცალკე ფურცლებად გასასყიდლათაო.

** იმერეთიდამ ძალიან კარგ მოსავალს გვწერენ; ღომი, სიმინდი და სხვა ნამუშევარი სამყოფად მოვაო; მაგრამ უბედურობა ეს არისო, რომ ვაზები ისევ გაგვიფუჭა წელს „ნაცარმაო“.

ქართლ-კახეთისკენაც კარგი პურისა და ბევრი ქერის მოსავალს ამბობენ. ყურძენი ბევრ ალაგას აქეთკენაც გაუფუჭებია ამ ჩვენ დამაზიანებელ სნეულებას.

განცხადებანი

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, ბიოგრაფი მეფისა, ქათალიკოზისა, აღბულასი-ბერძმული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

ფ ა ს ი ს გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

მეხუთე კარი

„ყ ა რ ა ბ ა ნ ი ა ნ ი“

გამოვიდა და ისყიდება, ტფილისში: მელიქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის მაღაზიებში. სპარსულიდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. ფასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისყიდება ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი ყარამნიანისა.

ქ უ თ ა ი ს ში: გუბერნიის სტამბაში სეიმონ ჩომახიძესთან.

გ ლ ო ვ ა
ირაკლი მეორისა

თქმული სოლომონ მსაჯულისაგან

გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან

ისყიდება ვართანოვი წიგნის მაღაზიაში

ფასი ერთი შაური

დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ
ლ ე ქ ს ი
თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის
გარდაცვალებაზედ
თ ა ვ ი ს ს უ რ ა თ ი თ
თქმული
დ ა ვ ი თ ზ ი ვ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

ჰსურთ აიყვანოთ ყმაწვილები

რომელნიც უნდა იყვნენ სასწავლებელი დაბალი კლასებისთვის მოსამზადებლად: ა გ რ ე თ ე ვ შეუძლიათ აასრულონ კანტორჩიკობა როგორაც იყოს კანტორა, მ ა მ უ ლ ი ს გ ა ვ ე ო ბ ა. იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სილნალს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფ ო ლ შ ტ ა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში	
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბ ი რ ჟ ა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 18 აგვისტოს		
მრთი ანეთი ლირს:		
ლონდონში 24 ჰენსი.	—	78
პარიჟში 260 სანტიმი.	—	81
ესკუნტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	206	50
მოგებიანი (მეორე ესესხი)	206	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის (5½)	83	—
მოსკოვის (5%) . . .	90	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
სავაკაზის და მერკურის.	203	—
ბირ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მ ა ზ ა ნ დ ა

	ანან	კაპ.
თფილისი, 20 აგვისტოს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	20
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი.	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი. :	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთ.	7	80
მატყლი თუშური ფუთ .	6	—
— მარაქამისა ფუთ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	7	50
ულავ ბრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	92

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Августа 1877 г. Типографія Меликова. მცეგამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.